ოქმი N15

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 31 ივლისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას განცხადება.

(მომხსენებელი: ე. წურწუმია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ლოლუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. გამომსვლელმა იქვე აღნიშნა, რომ ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ ესწრებოდა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე (ტ. ალექსანდრია), გამომდინარე აქედან საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის მიერ და სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 140.3 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: „პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის„ ასიგნებები 140.3 ათასი ლარით. 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ადგილობრივ ბიუჯეტში აისახება 116.7 ათასი ლარი. ნაშთი 116,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) და გამოთავისუფლებული 140,3 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი), სულ 257,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე 222,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე 35,0 ათასი ლარი. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლითაც დადგენილების პირველი მუხლის „პ“ ქვეპუნქტში სწორდება დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: გამგეობის დებულების მე-18 მუხლის 1^5 პუნქტში მითითებული პუნქტების ნომრები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N25 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის 20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- დაინტერესდა, თუ გამგეობას დასჭირდებოდა პირის ხელშეკრულებით აყვანა, მაშინ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მიემართოს შესაბამისი პროექტით საკრებულოს და საშტატო ნუსხაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაზე საკრებულოს ნორმატიული აქტების სამართლებრივი

ზედამხედველობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა რეკომენდაცია გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობისა, დადგენილებით ასევე განსაზღვრულიყო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები. მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N26 ოქმს თან ერთვის)

4. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, რომ თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტში გარღვევაა, მომავალის წლის ბიუჯეტში ტრანსფერი რამდენი იქნება საჭირო?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ დაახლოებით ხუთასიათას ლარამდე ტრანსფერის გამოყოფა იქნება საჭირო.

მ. ქარდავა - არ დაეთანხმა გამომსვლელს თანხის სიმცირის გამო

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე ცნობად იქნეს მიღებული.

სანამ ბოლო საკითხის მოსმენაზე გადავიდოდნენ, სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნა გამოთქვა გამგებლის წარმომადგენლების მიმართ და აღნიშნა, რომ ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ღია თეატრონში ჩატარებულ ღონისძიებას, მოსახლეობის არაინფორმირებულობის გამო არ ესწრებოდა ხალხი. უფასო კონცერტზე ხალხის გამოყვანა არ უნდა იყოს პრობლემა წარმომადგენლებისთვის და დასძინა, რომ ახლოვდებოდა ცოტნეობის დღესასწაული და იმედი გამოთქვა გამგებლის წარმომადგენლები ამ ღონისძიების თაობაზე მაინც დროულად მიაწვდიდნენ ინფორმაციას მოსახლეობას და არ განმეორდებოდა ეს შეცდომა.

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას განცხადება.

(მომხსენებელი: ე. წურწუმია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი).

მოისმინეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მას წინა სხდომაზე ჰქონდა შენიშვნები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სადაც მისი თქმით არგუმენტებიც მოიყვანა. „პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ მითხრა პროკურატურაში ჩივილი შენი სტილიაო და მიაწექიო. მან, რაც წინა სხდომაზე ილაპარაკა არის სიცრუე, მე არასდროს მიჩივლია პროკურატურაში არავისთვის და არც არასოდეს გავაკეთებ ამას. წინა სხდომაზე ოჯახის წევრებზე წამომაძახეს და ვთვლი, რომ სხვისი წამოსაძახებელი ჩემს ოჯახს არაფერი სჭირს. ეტყობა ჩემი შვილი იგულისხმეს, რომელიც ციხეში ზის, მაგრამ ვერაფერს უმტკიცებენ, რადგანაც საქმე შეკერილია და დანაშაული არ მიუძღვის. მე უკან არ მიმაქვს ჩემი სიტყვები, მე რომ მივმართე საკრებულოს თავმჯდომარეს გააჩერეთ თქვენი მარიონეტებითქო, მე ამ აზრზე ვრჩები. ირაკლი (დაჩი) ბერაია, არის ერთადერთი ქალაქელი დეპუტატი ხობის ისტორიაში, რომელიც გამოუცდელი პოლიტიკოსია, მინდა ვურჩიო მას, რომ თუ დისტანცირებას არ გააკეთებს ახლანდელ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, მის პოლიტიკურ კარიერას დიდი გამოცდა ელის და ამომრჩეველი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის არ იქნება სახარბიელო“ - განაცხადა მან. დასასრულს დასძინა, რომ ამ დარბაზში მსხდომი დეპუტატების უმრავლესობასთან

უმუშავნია და აფასებს მათ გამოცდილებას, იმედი გამოთქვა, რომ მომავალი საკრებულო უფრო მაღალი კვალიფიკაციის კადრებით იქნებოდა დაკომპლექტებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. ნუგზარ შუშანია
8. ედიშერ წურწუმია
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ქეთევან ოდიშარია
13. ვასილ კუკავა
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ზარანდია
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია
24. ლეონიდე ლოლუა
25. დრიდონ შონია
26. გიორგი ხურცილავა
27. გენადი ქამანაია
28. მერაბ ნადარაია
29. კობა კაკულია